

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სა-  
რადოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე  
ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე  
მცხოვრებთათვის ადრესი: ТИФЛИСЬ, РЕД. „ДРОБНА“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—  
8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ.  
6 თვ.—5 მ., 5 თვ.—4 მ., 50კ. 4 თვ.—4 მ., 3  
თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

6 ლკ ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკა.

# დროება

გამოდის ყოველ-ღამე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე  
8 კ., პირველზე 16 კ. სრული ტექსტისათვის—  
ღამე 2 მანათი; პირველი 50 მ. რედაქციაში  
წესისა ითვლება მათგან დაჭერილი ადგილის ჯგ-  
ლობაზედ.

თუ საქართველო მოათხოვს, რედაქცია გაასწავლებს და შეამო-  
ღებს დასაბუჯად გამოკვანულ წერილებს. დაუბუჯად წერა-  
ლებს რედაქცია ვერ დაუბუჯებს ავტორს.

Объявления изъ Россіи, Царства Польскаго и за-  
граници принимаются только въ цент. конторѣ объявл.  
Г. Метцль, Москва, Петровка, № 6.

## მიიღება ნახევარ-წლით ხელის-მოწერა ვაჭეთს

### „დროებაზე“

ივლისის ჰიტველიდამ წლის დამლევამდე.

### ფასი ხუთი მანათი

სოფლის მასწავლებელთათვის

### ოთხი მანათი



## დროების რედაქცია საყოველთაოდ აცხადებს, რომ „შავერდოვის“

სააგენტოში აღარ მიიღება ხელის-მოწერა ამ ვაჭეთსედ და არც  
განცხადებები მასში დასაბუჯად. ხელის-მოწერით, ან განცხადე-  
ბის მოცუპის მსურველთ რედაქცია სთხოვს ჰიტდაზირ რედაქციის  
კანტორას მოძარბონ, (სასახლის ქუჩა, დ. სარაჯოვის სახლში).

## შინაური ქრონიკა

ჩვენ ვეცდებით, რომ ქა-  
ლაქის ხარჯის გამწვრლები უსამართ-  
ლოდ იქცვიან, ბევრს ღარიბს შეძ-  
ლებული კაცის ოდენა ხარჯს ართ  
მევენ და ბევრს შეძლებულს ღარიბი  
კაცის ხარჯის ოდენას, ნათესაობა და  
ნაცნობობა დიდს როლს თამაშობს;  
ზოგიერთი ხარჯის გამწვრელი ბახუ-  
სის თხოვნასაც იწყნარებს თურმე.

ზუგდიდიდამ გვეწერენ: «წარ-  
სულს კვირაში დაბა ზუგდიდს ერთი  
ქუთაისის გიმნაზიის მერვე კლასის

მოსწავლის მეცადინეობით გამართულ  
იქმნა სატანჯაო საღამო სასარგებ-  
ლოდ სამ ღარიბ ყმაწვილთა, რომელ-  
თაც წელს დაასრულეს კურსი ზემონ-  
სენებულ გიმნაზიაში. საღამომ კარ-  
გად ჩაიარა: თუმცა აუღარმა, ცოტა  
არ იყო, დაბრკოლა საქმე, მაგრამ  
მინც შემოსავალმა, ხარჯის გარეშე,  
118 მანათამდე მიიღწია. მადლობის  
ღირსნი არიან როგორც ამ საღამოს  
მონაწილე მთელი ზუგდიდის საზო-  
გადოება, აგრეთვე განსაკუთრებით.  
მ. მ. დ—ნი, რომელმაც სამი თუმან-  
ი შემოსწირა და ქალნი ბ. ძე—ლასი,  
მლ. შრ—ლიასი და ნ. კ—ჩისა, რომ-  
ელთაც გულითადი თანაგრძნობა აღ-  
მოუჩინეს ამ კეთილ საქმეს.»

## ჭეინეჯამ

მიღში ვტიროდი, მე დამქსიხმარა:  
ვითამ შენ საფლავს იყავ მდებარე.  
გამამეღვიძა და თვალებიდამ  
ჩამომდიოდა ცრემლი მდუღარე.

მიღში ვტიროდი, მე დამქსიხმარა:  
რომ ჩემსედ გული ვაგვიკუბოდა.  
გამამეღვიძა და თვალებიდამ  
დიდასს მდუღარე ცრემლი მდიოდა.

მიღში ვტიროდი, მე დამქსიხმარა:  
რომ კვლავ ერთად ვართ ბედით დამტკუნარნი.  
გამამეღვიძა... მაინც ჩემს თვალებს  
გერა შევსწყვიტე ცრემლი მდუღარე.

ი. ბაქრაძე.

## ბეგლი მუყუტა

მოხრობა უფლი რიშარისა.

(შემდეგი \*)

### III

— იცი, ჩემო მეგობარო, რომ მე  
ვეკუთვნი იმ ხალხს, რომელნიც უცებ  
შემოსულან პარიჟში და თავის შრო-  
მით გამდიდრებულან.

ტებოს ცოლმა მოიკმუნა სახე,  
რომელზედაც ეს სიტყვები იხატებო-  
და: «ღმერთო ჩემო! მე ხომ დიდი  
ხანია ვიცი! რა საჭიროა განმეორება,  
მაშინ როდესაც მე მსურს სხვებმაც  
დაივიწყონ ეგაა?..»

— შევლამ იცის, განაგრძო ტე-  
ბომ:—პაპა-ჩემი ლუკმის ფასს იმით  
შოულობდა, რომ აკეთებდა ბოჩკებს  
და უქმედებში კი სოფლის მემუსი-  
კედ იყო ხოლმე.

ახალ-გაზდა ცოლმა სწრაფად მიი-  
ხედა, რომ გავგო კარგად იყო თუ  
არა ლოყის კარები მიკეტილი.

\*) იხილე „დროება“ № 148

ბათუმის მაზრიდამ გვეწერენ,  
რომ შავი ზღვის ნაპირებზე ხშირმა  
წვიმებმა მოსავალი სრულიად გააფუ-  
ჭა, ასე რომ მომავალში შიმშილი  
არ აგვეცდებოა. ზემო აჭარაში ორი  
სოფლის ნათესი სრულიად გაუნადგუ-  
რებია სეტყვას.

ს. დიდიხიხიდიდამ გვეწერენ შემ-  
დეგს სასიამოვნო ამბავს: «ჯინაიშის  
მცხოვრებს თავადს ალექსანდრე მე-  
რამბის-ძეს ჩხვიძეს განუძრახავს თავის  
სოფელში განსნას თავის ხარჯით სა-  
სოფლო სასწავლებელი. თუმც ამ  
სოფელში ერთი ასეთი სასწავლებე-  
ლი უკვე არსებობს, მაგრამ ის მარ-  
ტო ნახევრობითაც ვერ იტევს იმ  
სოფლის სწავლის მსურველთა. რასა-  
კვირველია, განმარტება არ ექირე-  
ბა, თუ რა ღრმა პატივისცემის ღირ-  
სია თ. ალ. ჩხვიძე და რა სამაგა-  
ლითო და მისაბაძეია მისი ასეთი  
უხვი შეწირულება ამ ქველი საქმისა-  
თვის. ამაზედ ლაპარაკი მეტი იქნე-  
ბა. აქ მარტო იმის თქმა მინდა, რომ  
შესაძლოა ამ კეთილ-საქმესთან ერ-  
თად თ. ალექსანდრემ მეორე სასარ-  
გებლო საქმეც დააწესოს. მე მო-  
გახსენებთ გამსესხებელ-შემნახველ ამ-  
ხანაგობაზედ. თავადს ალექსანდრეს  
შეძლება ნებას აძლევს, რომ გასახ-  
სნელი სასწავლებლის 10—12 წელს  
შესანახავი ფული ერთ-ფაშიერად დღეს-  
ვე გამოიღოს. ამ გვარად შედგება  
სამას ორმოც-და-ათ თუმანამდის  
(3,000—3,500 მ.). ამ ფულს ათ  
პროცენტად (10%) ყველა გამსესხე-

ბელ-შემნახველი ამხანაგობა მიიბა-  
რებს. ამ ნაირად სასწავლებელს ყო-  
ველ-წელიწადს ოც-და-თუთხმეტ თუმ-  
ანამდის შემოაუფა.

თუმცა ჯერ დიდ-ჯინაიშში არ არ-  
სებობს გამსესხებელ-შემნახველი ამ-  
ხანაგობა, მაგრამ ეს დაბრკოლებას  
არას წარმოადგენს, რადგან «ამხანა-  
გობა» ადვილად შეიძლება დაარსდეს  
ორი-სამი თვის განმავლობაში თ. ა.  
ჩხვიძის თავს-მჯდომარეობით. საჭი-  
როა მხოლოდ, რომ ოცნედ მეტმა  
მსურველმა ხელი მოაწეროს «ამხანა-  
გობის» წესდებას და გაგზავნოს სა-  
დაცა ჯერ არს დასამტკიცებლად.

რაც თავდაპირველად «ამხანაგობის»  
დაარსებისათვის საქმის გაძლოლა სა-  
ჭირო, დარწმუნებული ვართ სიამოგ-  
ნებით იკისრებს რომელიმე მახლო-  
ბელ «ამხანაგობის» გამგეთაგანი, მა-  
გალითად, კუხისა ან გუბის «ამხა-  
ნაგობის» გამგე.

სომხურს ვაჭეთს „არმაჯანს“  
ნამდვილი წყაროებიდამ შეუტყუია, რომ  
მოსკოვში მცხოვრებული ივანე ონასოვი  
სთხოვს მთავრობას ნუა მისცეს მას თა-  
ვას თბილისის ქარვასლა სჩუქოს წმ სტე-  
ფანეს საქალბო მონასტერს იმ პირო-  
ბით, რომ ქარვასლის შემოსავლით იზრ-  
დებოდენ ქალები მარამის საქალბო  
სასწავლებელში. იგივე ვაჭეთი ამბობს, რომ  
სსენებული ქარვასლა იმყოფება სიონის  
ქუჩაზედ ღირს 300,000 მან. და შემო-  
სავალი 22,000 მან. შემოაქვსო.

გ.ა. „ტიფლისკია ობვლენია“-ს

თან გამოუდგა. სამი წლის მტენი  
სახლში ობლად დარჩა. როდესაც  
იმათი მიძა-შეილი მადლენა მივიდა  
იმათთან საწყალი ობოლის წასაყა-  
ნად, დედ-მამის დაძახების მეტი არა  
იკოდა-რა და სახლში ლუკმა პური  
არა ჰქონდათ.

მადლენა იყო საუცხოვეო ქალი;  
ის მუშაობდა კრუჟაეების ფაბრიკაში  
ოც-და-ხუთსუთ. არ მიუხედავს თა-  
ვის სიღარიბისათვის, არც კი და-  
ყოყმებულა მამიჩემის თავისთან მიყ-  
ვანაზედ. რაც რამ დარჩენოდა პაპა-  
ჩემს, ყველა გაჰყიდა, დაურიგა იმათ  
მოვალეებს, შეუყვრა მამა-ჩემს შავე-  
ბი და იმათ სასაფლაოზედ გააკეთებ-  
ნა პატარა შავი ჯვარი, რომ შეიღს  
ებოენა მშობლების საფლაოეი და ელოც-  
ნა იქა მს საქმე რომ გაათავა, აი-  
ყვანა ხელში ყმაწვილი და წამოვიდა  
თავის სახლში.

— მკ, რამდენი სულ გრძელობა!  
წარმოსტევა ტებოს ცოლმა ღმობიე-  
რებით.

— მკ, ეს კიდევ ცოტაა. შემდეგი  
მოისმინე. მხლა მადლენას სახე გამს-

შეუტყუა, რომ ქალაქის ბუკის მცხოვრებლებს ქალაქის გამგეობაში შეუტყუათ სახიფათო კრების შედეგად კერძოდ კერძის ბაზრის გადატანის შესახებ და უფრო სიმარცხედ ჩავიან, ამის გამო მალე მოხდება ქალაქის საბჭოს კრება იმის შესახებ, რომ ბაზარი კრებამ ისევ კრების შედეგად გადაიტანოს.

ოთხშაბათს, ივლისის 10-ს, დამის 11 საათზე რუანის გზით წავიდნენ ასსხადში თბილისში მოგზავნილი მოსამსახურე პირნი მე 3 № გოსპიტლისა მოწინავე რ.ზმისათვის; ამ მოსამსახურე პირთ შორის ირისკებანი; უფროსი უშიშა გოსპიტლისა, ორდინატორი, კომისარი, სკდამსკედი, სუპლენტი და სხვანი („Новое общество“).

**„დროების“ კომპრომისი**

შარსი, ივლისის 7-ს. შარსს ცოტად აღინიშნა და სამხარულე ეტყობოდა, მინამ მხატვარი რუბო, თავის ამხანაგებით აქ იყვნენ. როგორც მოგვხსენებთ, რუბოს აქ მასალა უნდა შეეკრიბა თავის სურათებისათვის და მართლაც რომ ბევრი მასალა (ეტიუდები) წამოიღო თან. მათ შორის შეხედებით შარსადლის და მუხლისის სიმაგრეების სურათებს, სიტადელს და მისს დასწერივ—მათს კალთებზე—გადაფენილს ნაწილს ქ. შარსისას, შრავალ მჭიითებს, მთლად იარაღში ჩამსხდარ ქურთების და იზიდების სურათებს, მშენიერს—სამხატვრო ტანისამოსში და სხვ.

სერბიელი იონოვიჩი, რომელიც ფრანკულს-მხატვარს რუბოს თან მოჰყვა, ძალიან ახალ-გაზდა მხატვარია, და ამასაც, როგორც რუბოს, მიუხეზნის აკადემიაში აქვს დასრულებული კურსი. ეს მხატვარი უფრო თავისთვის მუშაობს, ვიდრე რუბოს

მარია, გაყვითლებული და მოღმენკილი, მაგრამ იმ დროში ის იმ მხარეზედ უპირველესი ლამაზი იყო. იმის თვალში ბრწყინამდენ ჯან-მრთელობით, სიყმაწვილით, სიკეთით, პატრონებით და სიკეთესით. ის იყო თერამეტის წლისა. ძვირადობით ჩაეროდა ხოლმე თავის ტოლებში, რომ ფეხების დაღლივით მკლავები დაესვენებინა. იქ ის შეხვდა თავისავით ლამაზს და შრომის-მოყვარე ყმაწვილკაცს. შოველ კვირას ესალმებოდნენ ერთმანეთს მეორე კვირამდენ. ოჰ, შენ არ იცი რა არის სოფლური ლხინი! ზაფხულში საუკეთესო სასტუმროში, სწორე ეზოში მოგროვდება ხალხი; ყმაწვილი ქალები და ვაჟები თამაშობენ კრიკინა სკრიპის ხმაზედ; მოხუცი მიმსხდარნი ჩრდილში, იგონებენ ძველ დროს და ღვინოთი იღვკამენ ძველ მოგონებას, იმ მოგონებას, როდესაც ესენიც არა ფიქრობდნენ ღვინოზედ. აქ ყველა თავის თავს თითონ ართობს, თითონვე ეძებს თავის ტოლს და თითქმის ყოველთვის საქმე ქორწინებით თავდება. მაგრამ მადლენას საქმროს როგორღაც არა ჰყავ

შეელის, თუმცა-კი რამდენიმე ეტიუდით რუბოსთვისაც დახატა მესამე მხატვარი ქართველია—ბიგო ბაბაშვილი. ეს მხატვარი ერთი წელიწადია, რაც პეტერბურგის აკადემიაში იმყოფება და კიდევ ბევრი ცდა და ბეჯითობა უნდა, მეცნიერების შესწავლა და გონების გახსნა. ბაბაშვილის პეტერბურგში ყოფნას ფუჟად არ ჩაუფლია. მხატვრობაში გვარიანად გავარჯიშებულა და უნდა იმედი ექონიოთ, რომ იგი შემდეგში უფრო წელში გაიმართება და ფუჟად არ გაატარებს თავის ნიჟს. ამანაც რამდენიმე ეტიუდი წამოიღო თავისთვის და როგორც შეეიტყე პეტერბურგში მიემეფლება რუბოს სურათების ხატვაში.

ამ მხატვრებზედ უფრო ადრე აქ მოვიდა ერთი პეტერბურგის აკადემიის პროფესორი, გვარად ლაგორიო, რომელიც ბაიზეთში უნდა წასულიყო და წარსულ ომიანობაში რუსის ჯარის იქ „ჯდომის“ სურათი დაეხატა, მაგრამ, როგორც ამბობენ, ოსმალოს მთავრობამ ნება არ მისცა იქ მისეღისა და ამიტომ ლაგორიო იძულებული შეიქნა უკან დაბრუნებულიყო.

რუბომ ამხანაგებით და ლაგორიომ ამ თვის 4-ს დასტოვეს შარსი და გაემგზავრნენ ახალ-ქალაქით და ახალციხით ქ. თბილისს.

**თბილისიდან თელავამდე**

მგზავრის შთაბეჭდილებანი.

მეტის-მეტად სათაკილოა, მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, რომ მე, კახელს, ჯერ არ მენახა პახეთი. სიღნაღის მაზრის მცხოვრებელს ისეთი ბნელი, გამოურყვეველი წარმოდგენა მქონდა და სასიამოვნოდ ის დაუპატიჟებელი სტუმარი. მაზაფხულზედ ჯვარის დაწვრას აპირებდნენ და წინაღვე რისთვის უნდა მოეხვია თავს სხვის ზაფხვი. ამის პასუხად მადლენა ეუბნებოდა,— ჩემს ღვიძლს ბიძა-შვილს ცის-ქვეშ ხომ ვერ გავადებო. საქმრომ უპასუხა, რომ ეგ იმის საქმე არ არის სიტყვა სიტყვას შეჰყვენ და იმან გადაწყვეტილი გამოუცხადა მადლენას, რომ ორში ერთი უნდა ირჩიოს: საქმრო ანუ ყმაწვილი.

— რა ბოროტი გული ჰქონია, წარმოსთქვა ტებოს მეუღლემ.

— მაშ! ის კაცი ანგარიშის მოყვარე იყო.

— როგორ გარდასწყვიტა მადლენამ?

— მადლენას არც კი აურჩევია. იტირა, იტირა, მაგრამ ყმაწვილი კი არ გაავლო გარედ.

— საწყალი.

— ღიად, საწყალი .. როდესაც მამა-ჩემი შეიქმნა შეიღის წლისა, მადლენამ განიძრახა სკოლაში მისი აღზრდა რის ღონის-ძიებითაც იქნებოდა. ის ისეთი შორს დამნახვი გონების

თელავზედ და მის მახრახვედ, რა გვარიც ამერიკელსაც დაეძრახება. მაგრამ ეს მოვლენა ჩვენში საზოგადოა და მართლ ჩემზედ ნუ ინებებთ გაწყრომას.

თბილისის უკანასკნელი რიცხვები იყო, რომ მე გავშორდი ამ ჩვენს გამტვერიანებულ თბილისს, სადაც ხესაც კი ხის ფერი აღარ ადევს და მცხოვრებნი, მტვრით გაღვსილნი, მეწისქვილეს დამსგავსებნი. მაქვს იმედი წარმოიდგენთ იმ ნეტარებას, რომელსაც ვეძლეოდი, რა ვშორდებოდი თბილისის სიცხე-პაპანაქებას და თელავური დანქარეული დილიქანის მიგვაქანებდა პახეთის გზაზედ. თითქმის ოც-და-ათ ვერსზედ თბილისიდან არე-მარე არაფერს სახუგემოს არ წარმოადგენს: დამწვარი მიწა, დამწვარი და გაყვითლებული ბალახის ღეროები, უწყლობა, უხეობა და მტვრინანი შოსე—აი სურათი თბილისის მიდამოსი, სურათი, რომელიც თვისი უფერულობით, ერთ-გვარობით, დაღვრებით სცდილობს გადააქარბოს ამ გვარსავე თვისებებს მოსე ჯანაშვილის ისტორიული წერილებისას. უცნაური შედარებაა, მაგრამ გარწმუნებთ, რომ იგი არ არის განგებ შეთხზული.

მიღიხარ და მიღიხარ ამ გზით. იყურები წინ, აჰყეტავ თვალებს, გინდა შორს, შორს სადმე მაინც მოჰკრა თვალი სიცოცხლეს. აგერ გამოჩნდა სერები, რომელთაც ადამიანის ხელი ატყვიათ, მოჩანს მცენარეობა: „ახალ-სოფელს მივხლოვდით“, გიხსნით თავაზიანი კუჩერი. ახალ-სოფელი პირველი სოფელია, რომელსაც გაივლის თელავში მიმავალი. აქ თქვენ უნებლიეთ აქცევთ ყურადღებას ამ სოფლის სიღარიბეს. ასე ახლო არიან თბილისზედ, შეუძლიანთ ყოველივე ნაწარმოები მალე, ადვილად და კარგ ფასად გაჰილონ და ასეთი ნაკლებობა

პატრონი იყო, რომ კარგად ესმოდა იმ დროშიაც სწავლის ძალა. ის მიხვდა რომ სოფლის სკოლა არ იყო საკმაო ამ ყმაწვილისათვის, თავის შეიღისათვის, დიად შეიღისათვის ამიტომ, რომ მან შესწირა თავის სიცოცხლე და იმის გულისათვის აიღო ხელი საქმროზედ. თუმცა ფული სრულიად არა ჰქონდა მას, მაინც თამამად შეუდგა თავის განძრახვის აღსრულებას. ჩიულავა ტომარაში ბარგი და ხელში აყვანილი ყმაწვილით გასწია პირდაპირ პარიყისაკენ. იქ პირველსავე ზასტავსთან იკითხა ეჩვენებინათ მისთვის ყმაწვილების სასწავლებელი, პანსიონი. მას უჩვენეს დიდი სასახლე მახლობლად ზასტავისა. ყმაწვილი ქალი თამამად გამოეცხადა პანსიონის ზედამხედველს და სთხოვა მოსამსახურეთ დაღვომა იმ პანსიონში—იმ პირობით, რომ სამაგიეროთ იმისი ყმაწვილი აღეზარდათ.

— ო, რა შეუდარებელი დედა-კაცია! შეჰყვია რა ტებოს ცოლმა და მალვით იწმენდა ცრემლებსა

— პანსიონის დირექტორმა მოკლედ უარი უთხრა და არ განუგრძე

ბაკი ეტყობათ! შენობები უმეტეს ნაწილად მიწურია, მხოლოდ მხოლოდ ერთი ამოსულა ზეზე, სადაც ჩვენს ზეზი აქ უმთავრესად ის ხრიოკიანი, უწყლო მინდვრები უნდა იყოს, რომელიც მათ გარს არტყიათ. ჩვენ რომ აქ საქონელი ვნახეთ: გამხდარი, მიძვალ-ტყავებული უბაღობობისგან; ან კი სული როგორ ედგათ!

მაგრამ, აგერ მიღიხართ წინ და ბუნებაც იცვლება სასიკეთოდ. მალე მივალთ შჯარმაში, განმიმარტავენ თანამოგზაურნი. პელი და ვერ მოვილოდინებ. ათას გვარად მეხატება თვალ-წინ ეს ისტორიული სოფელი, ეს ერთ დროს დიდებული ქალაქი, მაწამე სრული ჩვენი მრავალ-წამებული ცხოვრებისა. შეეუღეკით პატარა გორაკს და გადავედით ღელეში. ტყით შემოსილი მთაბარი, ნაყოფიერება, საუკეთესო ბუნება გარემომო და შუაში რამდენიმე ათი გომური. აი, ეს გახლავთ ის შჯარმა, სადაც წმიდა ნინომ შემდეგ მცხეთისა აღმართა ჯვარი, აი, ის დიდი ქალაქი, რომლის დასაცველად მახტანგ ბორგასლანს აუშენებია იმის ჩრდილოეთით ღელეში მაგარი ციხე. მაგრამ დღეს.

ნგრეულან მისნი დიდი პალატნი, დიდი ცხოვრება მის დაცემულა, დღეს იმ ცხოვრების წმიდა ალაგნი პირუტყვთა ქელვით შეგინებულა.


ამ სტრიქონების დამწერს არა ჰქონია შემთხვევა ენახა სადმე ასეთი დაგროვილი სოფელი. ადვილი ასახსენელიც არის. მთლად ის მდიდარი ბუნება, სადაც შჯარმა მოთავსებული სათავადო ყოფილა. მღენ-კაცობა მამა-სისხლად გირაობს მიწას ბატონის მოიჯარადრესაგან. ჩვენი კაცი მიწითა ცოცხლობს თავის ღელეში და თუ ეს მიწა საკმარისი არ ექნება, რა ნაირად მოაგვარებს ცხოვრებას. ღლიურში რომ სამი მანათი მოიჯარადრეს მისცეს, თვითონ რაღა დარჩეს

ლა ლაპარაკი. შექველია, მადლენას სამსახურს ყმაწვილის სწავლის ფასად არ აფასებდნენ. ამ გვარად შეიღი სკოლის კარებიდან დაითხოვეს იგი. მაგრამ მადლენა არ შეუდრკა და ბოლოს იმის სულ-გრძელობა დასაჩუქრდა. მან შორებულის სენ-ყვის სასწავლებელის მოხუცმა ზედამხედველმა ყურადღებით მოუხმინა მადლენას ნაამბობი და საშინლად გაოცდა ამ დედა-კაცის მოქმედებით, რომელსაც ქვეითი გამოეგრა ას ორმოცდა-ათი მილი და თავის თავს მონად აძლევდა სხვის შეიღის ბედნიერებას; შეიწყნარა და ორნივე მიიღო. აქედამ იწყობა მამაჩემის მოქალაქედ გახლომა.

— მადლენა?

— ახ, ჩემო საყვარელო, შენ სტრიქონი? ჩქარა დაჰფარე ეგ ცრემლები; ოპერას არ შეშენის... მადლენას მოთხრობას მე დაგისრულებ წარმოდგენის შემდეგ.

(შემდეგი იქნება)



ამ მოუსავლიან წელიწადში. ამიტომაც არის, რომ სოფელი რო დაიბრუნოთ, ქათამს, კვერცხს ძლიერ იშობოთ.

მაგრამ, უკაცრავად, რომ ამისთანა სიტყვებში ასეთ უგემურ საგნებზედ გაგებით მასლათი. მისი რა ბრალია, რომ უჯარმელებს მიწა არა აქვთ? იწრომონ, გაისარჯნენ და ექნებათ. თუ არა და დალოცვილებს ეგება ახლა მიწები ვაჩუქოთ. რატო თელავში ბაღდადი არ არის ღარიბი! რატო მსგეფა არა ჩივის? იმ კაი კაცებმაც, თუ ზარმაცები არ არიან, დახსნან «სსუდნი კასები» და კარგად იცხოვრებენ.

სულ ტყუილია. აბა მომბორის მცხოვრებ-ბრუსებს შეხედეთ, ლუარსაზისა არ იყოს, რა ლაზათიანი დაჩები ჩაუქიბნიათ! ჯან სულო და გულო! ღატკები ყოველის ფრით. უხვად ტყე, სათიბი, სათესი, სახნავე. მაგრამ ეს აღმართი კი არ უფარვათ, სწორე მოგახსენათ. მისდინარ, იკლანები ამ დაკლანულ გზაზედ და ისევ ერთ ალაგასა ხარ. საზოგადოდ ეს მომბორის ახალი გზა ვერაფერი გემოს ხილია, თუმცა დიდი ფული-კი იბნევა მასში. ღაუბლოვებელ აღმართ-დაღმართებსაც რომ თავი დავანებოთ, იგი ძალიან ვიწროა; ეს სივიწროე ისე არსად არ არის საგრძობელი, როგორც ივრის ხეობაში; აქ ცალმხრივ მთა არის ამართული და მეორეს მხრივ იწყება ღრმა ხევი. თელავი იდამ რომ დაგზოუნდით აქ, ამ გზაზე შევეყარეთ ურმებს, რომელნიც, რომ დაგვიცილებოდნენ, იძულებულნი იყვნენ არხებში ჩაეყარათ ურმები. ეს ვიწრო გზა ბევრი უბედურობის მოწამე შეიქნება, თუ ეხლავე არ მიაკციეს ყურადღება და ცოტა არ გააგანიერეს. ღამე რომ აქ ურემი და ფურგუნნი შეიყარნენ, უთუოდ ერთი კლდეში გადავარდება.

მე, მაგრამ რის კლდე, რის გზა! მისაც არ უნდა, ნუ გადავარდება, ძალათ ხომ არავინ ითრევს ი კლდეში! გზა ვიწროა—მიბძანდით და გააგანიერეთ. მოიჯარადრე ახლა სკამეცებსაც გაგიმართათ აი, ელოდეთ!

ისე მტერი დაგვილიათ, როგორც ეს აღმართიც, მართალია, ცოტა გვიან, მაგრამ დაიღვეა ხოლმე და ასდინართ ერთ უმაღლეს წერტილზედ, საიდანაც როგორც ხელის გულზე ისე მოჩანს ჩრდილოეთით ალაზნის ველი და აღმოსავლეთ-სამხრეთით ივრისა და მტკვრისა. აი სურათი რომელიც ღირს მათ, რომ ნიჭიერმა პოეტმა ნიჭიერი კალმით დახატოს. ნიჭიერმა, მოგახსენებთ იმიტომ, რომ უნიჭოები ბევრნი დახეტებებიან ამ გზით, მაგრამ იმათ გამურულ გრძობაზედ ვერა შთაბეჭდილებას ვერ ახდენს ეს ნაირ-ნაირი, პოეზიით აღსავსე პანარაზა. იმათი საქმე ბაზარია, იმათი მუზა მელქონის დახლში ზის. იმათი საქმეა: «მართალია, მოიწველა, წინლი გაიქნია» და სხვა.

ღიღინას არ სჩერდებით იმ ადგილზედ, საიდანაც, როგორც არწივის

სიმალიდამ მდელიდურად გადაყურებთ აფერადებულ ქანეთს: მალე დაემეფებოთ ძირს და ტყე-ტყე მისდინართ ვიწრო ხეობაში. პანარაზა მთლად დაგვიმალათ. ღელე ძალიან ვიწროა და შორს, შორს მხოლოდ ლაქვარდ ცას ჰხედავთ. მაგრამ აგერ ღელე ისევ გაგანიერდა, დიდხანს არ ინდომა, თითქოს, ყოფილიყო იმ ბორბოტ კვამლათ, რომელიც ჰმურავს და ჰფარავს ალს. ისევ თქვენ წინ იბადება ქანეთი, რომელიც დღით კი არა, წამებით იზრდება, დიდდება და იშლება სიგძე-სიგანეზე.

ბოლოს თქვენ თვით ქანეთში ბძანდებით. იმ ქანეთში, რომელიც ძველის-ძველადვე განთქმულია პურ-მარილობით. იმ ქვეყანაში, სადაც დაიბადა ლუარსაზი თავისი განუშორებელი კნენა ღარეჯანით. აი მისდინართ და ელით, რომ დაინახოთ თუ უზარ-მზარი კაკლის ხის ჩრდილში ჩვენი საყვარელი ლუარსაზი ბოლოს როგორა სცემს და თან ემუსაფება ღარეჯანს: ღარეჯან! არ გეყურება, დედა-კაცო! მ სადილი ხომ როგორც იყო გადავადგორეთ და ვაშ-მათ რაღა უნდა ვჭამოთ?—რატო, გენაცვალოს ღარეჯანი, ღეთის წყალობა ბევრი გვაქვს: ი სადილიდამ დარჩენილი კაი ცივად ძრახა გვაქვს, კარგი ღორის სუკები, კარგი ზურგიელი... უჰ, უჰ, უჰ! მაშა-ჩემი არ წამიწყდება, ეგ ღორის სუკები ჩინებულნი რამ არის! უჰ! სხვა?

მე კანეთი მარტო «კაცია-ღამიანი-ღამი» ვიცოდი და სულ ვნატრობდი რომ ცალი თვალი მაინც მომეკრა ბაყბაყ-დევი ლუარსაზისთვის, მაგრამ ამაოდ. ამ ტიპს ეხლა ველარ შეხედებით. შესატობა საყოველთაო სენად გადაქცეულა და ეხლა ძვირადღა ითქმის ქანეთზე, რომ იგი პურადი და გულადი იყოს.

მიდრე თელავში შეხვალთ, კისერი სულ მარცხნივ გვერდებიათ. ამის მიზეზი ვახლავთ ის გიგანტიური, ზღაპრადაც არ თქმული ტაძარი, რომელიც ალაზნის მარჯვენა მხარეს სწორს მინდორზედ ამართულა და არწივით გაჰყურებს მთელს ველს. მის განხლავთ ალავერდი. მის სიტყვა, მახუმტის აზრით, არის გადაკეთებული «ალეანის გვერდი»-დამ. თუმცა ალენი აქვე ახლოა, ალაზან გაღმა, ქვეყანის მთების კალთებზედ, მაგრამ ეს ლექსთ-წარმოება საეჭვო უნდა იყოს. ბონება უფრო ურიგდება ხალხურ ახსნას, რომელიც ამბობს რომ ტაძრის აშენებაში დიდი მონაწილეობა მიუღია მონათლულ თათარს, შემდეგ ბერს «ალავერდას» და აქედამ ეკლესიისთვისაც უწოდებიათ მისი სახელი. როგორც უნდა იყოს, «ალავერდი» მძლავრ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზედ. მეექვსე საუკუნედამ მოყოლიებული, როდესაც პირველად აუშენებიათ, იგი ყოფილა სახლი ღეთისა და ციხე-ბურჯი კანეთთა, ტაძარი, სადაც შეუწყვეტილად გაისმოდა ქება წმიდა წმიდათა და ერთად-ერთი მაგარი თავ-

შესაფარი. მაგრამ მე ყველაზედ მეტად მაკვირებს მის კოლოსალური სიგრძე. ამბობენ რომოცი საყენაო სიმაღლე, მაგრამ ჩემის აზრით მეტიც უნდა იყოს. «მართლის ცხოვრება»-ორი სიტყვით გვეუბნება: ქანეთის მეფემ ლეონმა ალაშენა. მს კარგი და პატიოსანი, მაგრამ როგორ, რა შეძლებით, რომელი არნიტექტორებით?! რამდენ წელს უნდა შენებულიყო ეს მთა? მთელს ქანეთის, შიზიყის და მართლის თავად აზნაურობას დღეს თავიანთი სკოლისთვის ერთი სახლი ვერ აუშენებია და წელიწადში ოთხასს თუმანს იხდის ქირას ჩითახოვის სასარგებლოდ და მეექვსე საუკუნეში მარტო ქანეთმა რა გვარად შესძლო ეს წარმოუდგენელი საქმე. რაც გინდა ბრძანეთ და ჩემთვის-კი ყოველად აუხსნელი კითხვაა. მითხვა, რომელიც ღირს იმათ, რომ ჩვენმა ისტორიკოსებმა განსაკუთრებით თავიანთი ყურადღება მიაკციონ. ბამოურკვეველია ის გრძობა, რომელსაც ალავერდი ახდენს მნახველზედ: სიამოვნება არეული ნაღველში, ღიმილი მოხიბლული ცრემლით; მეტადრე, როდესაც აქვე, გალავანში ჩრდილოეთის მხარეზე ჰხედავთ დანგრეულს მინითს. რის მოწამენი ხართ ქრისტეს და მაჰმადის ტაძრებო? ნეტავი-კი შეიძლებაოდეს, რომ დასძრათ ბაგენი და მოგეთხროთ გძელი ისტორია, რომლის დამსწრენიცა ხართ!

თელავი-კი უკან დაგვრჩა. თელავი, ეს პატარა კახის მეფე ირაკლის სატახტო ქალაქი უფრო წააგავს სოფელს, ვიდრე ქალაქს. მაზიყში არა ერთი სოფელი გაუწევს თელავს ქიშპობას შენობებით, მცხოვრებთ სიმრავლით და სხე

ორი დღე გავიდა და მე მაინც ვკითხულობდი: სად არის ქალაქი? მართად-ერთი ქუჩა და ათი სახლი, დამალული ბაღებში—აი პირველი შთბეჭდილება. თელავშიაც ჰპოვებთ ნაშთს ჩვენი წარსული ცხოვრებისას: აგერ ირაკლის ციხე-გალავანი, აგერ მისი კაბინეთი, აგერ ამ ოთახში დალია სული გმირთა შორის საკვირველებამ, გისხნიან ამაყად თელაველნი. მშვენიერი მიწა წყალი და მდებარეობა აქვს თელავს. უყურებ, უყურებ და გმურს. ბინდა რომ აქ იცხოვრო, აქ მოჰყვდე, აქ დაიბარხო, აგერ თუნდა აიმ დევი ჰანდარის ქვეშ, რომლის ძირს თორმეტ-არშინიანი თოკი ძლიერ შემოაწვდინეთ.

საზოგადოებასაც ვერ დაიწუნებთ თელავისას, უყეთუ მას შედარებთ სხვა პროვინციალური ქალაქების საზოგადოებათა. აქ არის პატარა წრე ახალ-თაობისაც, რომელიც გულ-მოდგინედ მიისწრაფის ყოველი კეთილი-სადმი. ამათი ღვაწლის ნაყოფია დეპო, შემნახველ-გამსესებელი ამხანაგობა, პატარა, მაგრამ ჩინებული საზოგადო ბიბლიოთეკა და ვინ იცის კიდევ ახლო მომავალში რა იქნება. ამათი მეოხებით თელავი მესვეური ქალაქი შეიქნა ყველა მაზრის ქალაქებისთვის. აქაური უბრალო ხალხი

გაკვირვებთ თავის ზღილობით, აღამინაობით, არა ჰგავს სიღილობას!

მაგრამ რაც რომ მე ყველაზედ ძალიან მომეწონა, რაც რომ თავის დღეში არ დამაფიწყებდა—ეს არის პატრიცემული იე. როსტომაშვილის საქალეობო სკოლის პატარა მოწაფეთა ქართული გალობა სობოროში. მშვენიერი დღეა, სობორო ხალხით გაცდილია, ხორბოზედ შემდგარან რვა-ცხრა პატარა ქალი, ზოგი დურგლისა, ზოგი ხარახისა, ზოგი სხვა ხელოსნისა, ზოგი სოფელი მიუშაკისა, შუამი უდგათ ახალგაზდა გალობის მასწავლებელი კამერტონით და გალობენ სრული წირვის საგალობლებს! იქნება გამოჩნდეს აქაც იუდა და წამორომოს რამე ცული ამ გალობაზედაც. მაგრამ მე კი მოგახსენებთ, რომ, როდესაც არც ნოტები გვაქვს, თბილისშიაც არა გვაყავს ხეირიანი ქართული ხორო, ამ დროს ეს ბავშვები ესე ჰარმონიულად, ესე ანგელოზის ხმით გალობენ. ჰოვლად ნიჭიერი უნდა იყოს ბ. ზ. ჩხიკვაძე, ამათი გალობის მასწავლებელი. მის უტყუარ მუსიკალურ ნიჭში უფრო მტკიცედ დაერწმუნდი, როდესაც შემდეგ იმან თავის მოწაფეების საერო სიმღერებიც გაგვაგონა. ძალიან შემაყვარათაი ამ ჰაწია სკოლამ და მისი ვითარება დაწერილებით გამოვიკლიე. მზრუნველმა, პატრონმა, დამაარსებელმა ამ სკოლისამ კეთილმა როსტომაშვილმა გვაჩვენა ახლა თვისთა მოწაფეთა ხელ-საქმენი. საუკეთესო სხვა-და-სხვა ნაირი საღმეთეკები, მოქარგულნი; სხვა-და-სხვა გვარი გვირგვინებით და ქართული ასო-მთავრულებით, და აგეთივე პირსახოცები.

ხელ-საქმის მასწავლებელმა, შლისაბედ როსტომაშვილისამ აგვიხსნა, რომ სკოლას რომ ცოტა მეტი შეძლება ჰქონდეს და სხვა და სხვა მასალის სყიდვა შეეძლოს, უფრო მეტს და სხვა და სხვა ნაირს ხელ-საქმეს ვასწავლიდით.

მრთს ხელ-საქმეზედ ჩვენ ამოვიკითხეთ საუცხოო ასო-მთავრულით დაწერილი: «გზა ეკლიანი ჩვენ გავიკვლიოთ». მს სიტყვები უთუოდ იმ დროს ეკუთვნის, როდესაც შურსა და მტრობას ჰსურდა წაერთვა როსტომაშვილისთვის ის შვილი, რომელიც ყოველს ნამდილოს შეიღზედ უფრო საყვარელია. რომელი შვილი გაგვზღებდა ერთს წელს და განჩენებს ისეთს თვალსაჩინო ნაყოფს, როგორსაც იძლევა ეს სკოლა. მე ესთქვათ მიკვდება შიმშილით ასეთი საყვარელი, სიცოცხლე შვილი, გთხოვთ შემწეობას, შევლას; თქვენც ისეთი გულ-კეთილობა გამოიჩინეთ, რომ მართლა მომიტყნეთ მცირედი პური, მომეცით ათი შაური. ძალიან კარგი. აქედამ რა გამოდის? ნუ თუ ის, რომ თქვენ მტარვალურად შეიღს წამართმევთ მხოლოდ იმ საბუთით, რომ გაქირებაში დამეხმარეთ!...

თელავის ახალგაზღობამ უნდა იცოდეს, რომ მეტი საქმე, მცირე სიტყვა—აი რა შეშენის ყოველ ახალ-

გაზღობას საზოგადოდ; და თვით თე-  
ლაისას კერძოდ მოეგონებთ, რომ

„თევზა გელმა და კიბომა  
ქირა აიღეს ძალიან ბლიმა,  
უნდა წაეღოთ ბარგი მთებშია,  
თვითონ შეებნენ შიგ ურემშია!  
თევზი იზიდავს მდინარისკენა...  
კიბო უკან სწევს, გადი-ცისკენა...  
არ იქნა, საქმე ვერ მოგვარეს,  
ურემი ცოლუც ვერ გაგორეს...“

ამხანაგებში თუ არა სუფევს სიყვარული და  
სრული თანხმობა,  
იმათი საქმე უეუღლა წავა, მაშინ იქნება მათი  
დამხობა!“  
მადაროკელი.

### ტელეგრაფები

„წრდილოეთის სააგენტოსი“

იელისის 11-ს.

**კაპიტანობა.** „გრაფდანიანი“ ბჭ-  
ნობებს, რომ ივლისის მეორე ნა-  
სკვანში უმადესი კარა წავა ფინ-  
ლანდიაში ერთი კვირით. ეს მკსა-  
რება დადის ამით უნდა მოხდეს.

**ლონდონი.** გიქს ბიძა გამოაცხა-  
და საზოგადოებათა პალატაში, რომ  
მაქდის სიკვდილის ამავი ოფიციალუ-  
რად არ მიგვიღია.

იელისის 12-ს.

**ლონდონი.** საღისბაურის ორგანი  
Morning Post ამბობს: რუსეთსა  
სურს დროებით შეთანხმება ავღანის  
სამხედროს გუბერნატორის სეო-  
ბის შესახებ ჯერ-ჯერობით საქმის  
გადაწყვეტელად; მაგრამ რუსეთი  
თხოვლობს, რომ ავღანელებმა არ  
დაიჭირონ ის პაწიციები, რომელ-  
ნიც მძღვარად დასცქრიან ერთად-  
ერთს რუსებისათვის საჭირო საძოვ-  
რებს. ამ პაწიციების დაჭერას რუ-  
სეთი მშვიდობიანობის დარღვევად  
ჩასთვლის. გაშვარში ვიდევ უწესო-  
ბაა, ჩანეთის მთავრობა გზისის იქ  
მაშველს ჯარს.

ბორჯო შეატყობინა საზოგადოება-  
თა პალატას, რომ მოლაპარაკება ებ-  
ვიძტის სესხის გამოცემის შესახებ  
ჯერ არ გათავებულა. უკმა ეგვიპტე-  
ში დარწმუნებულია არაინ, რომ მაქდო  
მოკვდა; ამას სხვათა შორის ის ამტ-  
კიცებს, რომ მისმა მომხრეებმა დას-  
ცადეს დონგოლა და მისნი მიდაიო-  
ნა. დრუმონდ ვოლფის მისიის შესა-  
ხებ ეგვიპტეში ჯერ არაფერია გა-  
წყვეტილი.

**ნიუ-იორკი.** უწინდელი პრეზიდენ-  
ტი შეერთებული შტატებისა გენერა-  
ლი გრანტი გადაიწვალა.

**პარიზი.** დიპლომატიურა მიწერ-  
მწერა ჩინეთთან განხლდა. ჩინეთის  
ელჩი ბერლინში, რომელსაც აგრეთვე  
მინდობილი აქვს ელჩობა პარიზშიც,  
მოვიდა აქ თავის რწმუნების ქაღალ-  
დებს ჩასაბარებლად.

### ბირჟა

პეტერბურგა ივლისის 9.

100 მანათის კურსი სამის	თვით ლონდონზე	— 23 <sup>1</sup> / <sub>16</sub> 23 <sup>1</sup> / <sub>16</sub> 23 <sup>1</sup> / <sub>16</sub>
100 მანათის კურსი სამის	თვით ჰამბურგზე	— 208 203 <sup>1</sup> / <sub>4</sub>
100 მან. კურსი სამის	თვით პარიზზე	— 250 <sup>1</sup> / <sub>2</sub> 251 <sup>1</sup> / <sub>4</sub> 250 <sup>3</sup> / <sub>4</sub>
პოლიემპორიალები	— 8 მ. 27 გ. გაუ.	
ტამოყნის ვუპონები	— 8 მ. 26 გ. გაუ.	
ვეტლის მანათი	— 1 მ. 29 გ. გაუ.	
ბირჟის დისკონტი	— 5 <sup>3</sup> / <sub>4</sub> და 6 <sup>3</sup> / <sub>4</sub> %	
5 <sup>0</sup> / <sub>10</sub> ბილეტები სასემ- წიფო ბანკისა	100 და	
1000 მან. პირველი გა- მოცემისა	— 99 მ. 12 გ. გაუ.	
მეორე გამოცემისა	— 97 მ. 37 გ. გაუ.	
მესამე გამოცემისა	— 97 მ. 62 გ. გაუ.	
მეოთხე გამოც. —	— 97 მ. 12 გ. გაუ.	
მეხუთე გამოც. —	— 97 <sup>1</sup> / <sub>2</sub> მ. გაუ.	
5 <sup>0</sup> / <sub>10</sub> აღმოს. სესხ. 100	და 1000 მან. —	
—	— 95 <sup>3</sup> / <sub>4</sub> მ. გაუ.	
მეორე გამოც. —	— 95 <sup>1</sup> / <sub>4</sub> მ. გაუ.	
მესამე გამოც. —	— 95 მ. 37 გ. გაუ.	
5 <sup>0</sup> / <sub>10</sub> მომგები ბილეტები	I შინაგანის სესხისა	
—	— 217 <sup>3</sup> / <sub>4</sub> მ. გაუ.	
5 <sup>0</sup> / <sub>10</sub> მომგები ბილეტები	II შინაგანის სესხისა	
—	— 212 <sup>3</sup> / <sub>4</sub> მ. გაუ.	
ოქროს რენტა	— 171 მ. 62 გ. გაუ.	
თბილისის საადგილ-მა- მულო ბანკის გირავნობ.	ფურცლები —	
ქუთაისის საადგილ-მა- მულო ბანკის გირ. ფურც.	—	

### სწობანი

ჩინის გზა

ფოსტის მატარებელი მიდის	თბილისიდან ბათუმისაკენ
8 საათზე და 35 წამ. დილით.	ბათუმიდან თბილისში შემოდის
10 საათ. 25 წამ. ღამით.	თბილისიდან ბაქოსკენ
10 საათზე 55 წამზე ღამით.	ბაქოდამ თბილისში შემოდის
8 საათ. დილით.	თბილისიდან სურამისაკენ
3 საათ. 15 წამ. ნაშუადღევს.	სურამიდან თბილისში შემოდის
8 საათზე 24 წამ. დილით.	

გაზანდა

ხორავისა, რომელიც იყიდება თბი- ლისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ- დახელ 1 კათათვიდამ 1 მარიამობის- თვემდე 1885 წ.	
გამომცხვარი ჰური რუ- სეთის ფეკვილისა —	— 1 გირ. 5 გ.
აქაურის ფეკვილისა: პირ- ველის ხარისისა —	— 1 გ. 2 <sup>1</sup> / <sub>2</sub>
მეორისა —	— 1 გ. 2 გ.

იმავე ფეკვილისა თორნეში გამომ-  
ცხვარი:

პირველი ხარისისა —	1 გ. 4 <sup>1</sup> / <sub>2</sub>
მეორისა —	— 1 გ. 3 გ.
მესამისა —	— 1 გ. 2 <sup>1</sup> / <sub>2</sub>

ჯვარის-მამის ჰური:

პირველის ხარის ღავში	1 გ. 4 <sup>1</sup> / <sub>2</sub>
მეორის ხარის. ღავში	1 გ. 3 <sup>1</sup> / <sub>2</sub>
მესამისა —	— 1 გ. 3 გ.

ძროხის სორცი:

პირველის ხარისისა	— 1 გ. 7 გ.
მეორისა —	— 1 გ. 6 გ.
სუკი —	— 1 გ. 14 გ.
ცხვრის სორცი —	— 1 გ. 8 გ.

ღორის სორცი:

პირველის ხარისისა	— 1 გ.
მეორისა —	— 1 — გ.

**საავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი**  
პერკინსი ამით აცხადებს რომ ქ.  
თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე  
მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარ-  
სებულს საავადმყოფოში 1866 წლის  
აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემო-  
ღებული არის მცხოვრებთა შეღავათი-  
სათვის ღამღამობით მორიგად ყოფნა  
ბბ. ექიმთა და ბებიათა.

პიქიპი:

**არშთინიანი**, ორშაბათობით, ხუთ-  
შაბათობით და კვირაობით.

**კორონა**, სამშაბათობით და შა-  
ბათობით.

**მელიტ-ჟარსადგომი**, ოთხშაბა-  
თობით და პარასკევობით.

გაგიპი:

**ფილჩაკონისა**, სამშაბათობით.

**გაგინოვისა**, ორშაბათობით და  
პარასკევობით.

**სტაჟანოვისა**, ოთხშაბათობით და  
შაბათობით.

**ლომპისა**, ხუთშაბათობით და  
კვირაობით.

### განცხადებანი

ჭუთაისის სათავად-აზნაურო სასწავ-  
ლებლის ინსპექტორი აცხადებს ჭუ-  
თაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა  
საცნობებლად, რომ 1885 წლის ენკე-  
ნისთვისათვის სასწავლებელში იქნება  
მხოლოდ ოც-და-თხუთმეტის ყმაწვი-  
ლისათვის თავისუფალი ადგილი პირ-  
ველს განყოფილებაში, რომელში შე-  
მომსელებებს ეგზამენი არ მოეთხო-  
ვებთ, მაგრამ წლოვანობა მათი კი  
არ უნდა აღემატებოდეს შეიღს წე-  
ლიწადს. მხოვანა უნდა შემოიტანონ  
ინსპექტორის სახელზედ, 20 აგვის-  
ტოდგან 29-მდის და თხოვნასთან ერ-  
თად წარმოადგინონ წლოვანების მოწ-  
მობა და აზნაურობისა, ან აზნაურო-  
ბის მოწმობის მაგიერ ბანკის მოწმო-  
ბა, რომ ყმაწვილის მშობლები (ან  
დედა ან მამა) ბანკის დამფუძნებელთ  
რიცხვში ითვლებიან. სხვა განყოფი-  
ლებებში და პირველს და მეორე  
პროგინაზიულს კლასებში არც ერ-  
თი ადგილი არ არის თავისუფალი.  
სწავლა დაიწყება ყველა კლასებში  
პირველს ენკენისთვის. (6—4)

ამ წლის სექტემბრის პირველს

### სამეყრნეო სკოლაში

გახსნილ ამ ორის წლის წინად  
სოფ. წინამძღვრანთა კარში, ღუმეთის  
მაზრაში, საფურამოს ველში, იქმნიებიან  
ახლად მიღებულნი ბავშვები ყველა  
წოდებისა, სარწმუნოებისა და ეროვ-  
ნებისა. ბავშვები უნდა იყვნენ არა  
ნაკლებ ათისა და არა უმეტეს თოთხ-  
მეტის წლისა. გამოცდა ყმაწვილებისა  
არ იქმნება, ბავშვების ღედ-მამანი არა  
გადასახადს არ გაიღებენ. შეგირდებს  
ეძლევათ უფასოთ სწავლისათვის საჭი-  
რო წიგნები და სხვა სასწავლო ნი-  
ვები. შეგირდები შეისწავლიან სა-

ღმრთო სჯულსა, რუსულსა და ქრ-  
თულს ენებს, არითმეტიკას, ძველისის  
მოკლე გეოგრაფიას, რუსების და მე-  
როპიის სახემწიფოებისას და საზოგადო  
მიმოხილვას ქვეყნებისას, ელემენტა  
რულ ზოოლოგიას, ბოტანიკას და  
მინერალოგიას; განსაკუთრებითი ყუ-  
რადღება იქნება მიქცეული ძველისის  
მცენარეებს, მამულის მოვლას, მიწის  
შემუშავებას, ხეხილისა და ვაზის კე-  
თებას, ღვინის დაყენებას, ბოსტნეუ-  
ლობას, ტყის მოვლას, ფუტკრის  
გაშენებას, სასოფლო მეურნეობას,  
ანგარიშს, ტენოლოგიას, საზოგადო  
მისახვედრს ჰიგიენას და ჰიმინას, პი-  
რუტყეთ მკურნალობას, ხატვას და  
ხორით გალობას. ბარდა ამისა სკო-  
ლის შეგირდები შეისწავლიან სა-  
ხელოსნოში, რომელიც ამ ორის  
თვის წინად გაიხსნა, მკვლელობას და  
ჩილინდრობას (სლესრობას); შემდეგ-  
ში კი დურგლობას და ბოჩკის კეთე-  
ბას. ღედ-მამათ ანუ ავეკუნებმა უნდა  
წარადგინონ ბავშვები პირველ სექტემ-  
ბერში ს. წინამძღვრანთ-კარში, საცა  
თვითონ სკოლა წარმოებს.

მწარეწველი სკოლისა  
ი. წინამძღვრი შვილი.

(5—5)  
ღამიგედა და ისყიდება თბილისში  
და ჭუთაისის წიგნების მაღაზიებში,  
დიდი ქათალიკოსის  
ანტონ პიკვლის ვსაელი

**ქართული ღრამატიკა**  
აღექსანდრე ებისკოპოზის თაოს-  
ნობით და საფასით, მხედველობასა  
ქვეშე თ. რაფაელ მრისთავისა. წიგნი  
შეიცავს საბეჭდავი 19 თაბახს დიდი  
ფორმატისას და იყიდება 1 მან. 50  
კაპ. (3—2)

**კახელ მამაპულეთა**  
თ. ა. ი. ჯანდიერის და ამს.  
ღვინის სარდაფში  
ისყიდება კარგად შენახული ნამდ-  
ვილი ღვინოები ძახეთის საუკეთესო  
ხერებისა; ამასთან თმთრი და წითე-  
ლი ღვინო სოფ. პაჩნაძინისა—თ.  
თ. ჯანდიერისა.

სოფლად გამსელოელთ შეუძლიანთ  
მოითხოვონ ერთბაშად.  
სოფლადგა, სერგიევის ქუჩა, № 2.  
(10—8)

**ქუთაისში,**  
ივანე ნიკოლაძის მამაპულეთა  
მაღაზიაში ისყიდება ყოველ-გვარი  
საქონელი, სხვებთან შედარებით ია-  
ფად. მაღაზია იმყოფება ბუღეარის  
პირ-და-პირ საკუთარ შენობაში.  
(8—6)

რედაქტორი ი. მაჩაბელი.